„ჩინგუტი საქართველოა, სიმქმი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №-20 (9492) • 16-31 ოქტომბერი • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია

ქალაქ სენაკში პროექტის - „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში, ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

დევნილ და ადგილობრივ აღსაზრდელებს ახალი სააღმზრდელო წლიდან 60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოემსახურება.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის გაფართოების, გადახურვის, სველი წერტილების, სააღმზრდელო ოთახებისა და საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ბაღი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭომ (DRC), საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი წოწკოლაურმა, დევნილთა სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ზაზა ნაჭყებიამ, ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების წარმომადგენლებთან ერთად სიმბოლურად გახსნეს.

„ბავშვების განვითარება და განათლება ბაღიდან იწყება. სააღმზრდელო დაწესებულებებში საუკეთესო პირობების შექმნა უპირობო პრიორიტეტია. ჩვენი ხელისუფლების დიდი მიღწევაა, რომ დღეს ბაღები უფასოა და ყველა ბავშვისთვის შეგვიძლია სკოლამდელი აღზრდის შეთავაზება. ვაშენებთ და ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს, რომ ჩვენი პატარები სათანადო გარემოში აღიზარდონ" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა. პროექტის - „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში, სენაკში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი N4 საბავშვო ბაღი შენდება.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი - N4 საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. მუნიციპალური განვითარების ფონდი ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული №№5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე ახალ სააღმზრდელო დაწესებულებას აშენებს.

ასევე გამოცხადებულია ტენდერი N3 ბაგა-ბაღის მშენებლობაზე.

იგეგმება N7 საბავშვო ბაღის მშენებლობაც.

საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები

ამ დროისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია გ. ნადარეიშვილის ქუჩაზე.

წლების განმავლობაში ითხოვდა მოსახლეობა ამ პრობლემის მოგვარებას, რაც „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში გადაწყდა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, მათ კომფორტულად გადაადგილების შესაძლებლობა ექნებათ.

ასევე მიმდინარეობს თეატრალური მოედნის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, უახლოეს დღეებში კი, დაიწყება ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარედ პარკინგის ასფალტირება.

სამუშაოებს ახორციელებს შპს „თვინსი.

ამ ეტაპზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები დასრულდა ქალაქში - ბორჯომის, ქიაჩელის, ტაბიძის ქუჩებზე და ძმები კანკავების ქუჩის ჩიხში, ხოლო სოფლად - ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო სორტასა და ზანის ადმინისტრაციული ერთეულის საკვაშილავოს უბანში, სადაც დაიგო ბეტონის საფარი.

„ვგეგმავთ 14 გზის რეაბილიტაციას. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე გამოვაცხადეთ ტენდერი.

სოფლად რეაბილიტირდება: ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხორშის, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების სასირიოსა და საბესელიოს, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საარჩაიოს, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯოლევის შიდა საუბნო გზები; ბეტონის საფარი დაიგება მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახარბედიოში - თხილის საამქროს მიმდებარედ.

ქალაქში მოეწყობა: შხეფის, ძმობისა და შელეგიას ქუჩები, არსენას ქუჩის ორივე ჩიხი, ძმათა სასაფლაოს შიდა გზა და გაგრძელდება დარჩენილი გზების მოწესრიგება.

თითოეული პროექტი გაითვლება ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, რადგან ჩვენი სახელისუფლებო გუნდის უმთავრესი ღირებულება სწორედ ადამიანია" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

საჭადრაკო კლუბის გახსნა

სენაკში აქტიური საჭადრაკო ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება.

საჭადრაკო კლუბის დახურვიდან 27 წლის შემდეგ, ქალაქში ჭადრაკის სახლი გაიხსნა, რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სენაკის კოლორიტის მიხეილ ქურდოვანიძის სახელს ატარებს.

ჭადრაკის სახლი სიმბოლურად სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მიხეილ ქურდოვანიძის შვილმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ პაატა ქურდოვანიძემ, პატარა მოჭადრაკესთან ერთად გახსნეს.

საზეიმო გახსნას საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ამ ეტაპზე, ა(ა)იპი „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" ჭადრაკის სექციაში 50 მოზარდი ირიცხება.

გამორჩეულ და მაღალინტელექტუალურ თამაშს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ლიცენზირებული მწვრთნელები, მერაბ ჯღამაძე და ზურაბ ლიფონავა ასწავლიან.

მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს თუ მოზრდილებს ჭადრაკის დასაუფლებლად დღეიდან შესაბამისი გარემო ექნებათ.

სენაკს საჭადრაკო ცხოვრებისა და მიღწევების, გამოჩენილ მოჭადრაკეთა აღზრდის დიდი ისტორია და ტრადიცია აქვს.

ამ ქალაქში 1947 წლიდან აქტიურად იმართებოდა ტურნირები ჭადრაკში.

სენაკში პროფესიული ჭადრაკის ფუძემდებელი მიხეილ ქურდოვანიძეა.

1970 წლიდან ქალაქში საჭადრაკო კლუბი „მხედრული" და მუზეუმი გაიხსნა, სადაც იმართებოდა ტურნირები და ყოველთვის პირველობდნენ სენაკელი მოჭადრაკეები.

1971-72 წლებში სენაკში თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონები - მიხეილ ბოტვინიკი, სალო ფლორი, ანდრე ლილიენტალი და სხვები.

1993 წლიდან საჭადრაკო კლუბი დაიხურა, თუმცა 1995-2001 წლებში ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით იმართებოდა სასკოლო პირველობები.

დღეიდან სენაკის საჭადრაკო ტრადიცია ღირსეულად გაგრძელდება და სენაკელი მოჭადრაკეები ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბით არაერთ ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ნოქალაქევში

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარი გამოიყო, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ადმინისტრაციულ ერთეულებზე გადანაწილდა.

მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად იხრეშება შიდა საუბნო გზები, წესრიგდება სანიაღვრე არხები, ეწყობა გარე განათების სისტემა, ხიდ-ბოგირები, მგზავრთა მოსაცდელები, რეაბილიტირდება საბავშვო ბაღები და სხვ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულისთვის 60 000 ლარი განისაზღვრა.

ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის ლებაღათურიეს უბანში მოეწყო საავტომობილო ხიდი, ჯიხას უბანში კი სასაფლაომდე მისასვლელი გზა და კიუვეტი, გახომელას უბანში - ნაპირსამაგრი გაბიონი, ხოლო ზემო ნოქალაქევის უბანში მოიხრეშა საავტომობილო გზა. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ თავად განსაზღვრა ის პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც უმნიშვნელოვანესია მათი ადმინისტრაციული ერთეულისთვის. ეს პრინციპი განაპირობებს პროექტების მაღალეფექტიანობას და მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდა.

რეგიონების მასშტაბით პროგრამის წარმატებით განხორციელება არის იმის წინაპირობა, რომ მომავალშიც გაგრძელდეს სოფლის მოსახლეობის ასეთი პირდაპირი და ეფექტიანი მხარდაჭერა.

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

ქართული ოცნება -„ერთად საქართველოს წარმატებისათვის" 41

ირაკლი ხახუბია — ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარად

ირაკლი ხახუბია დაიბადა 1971 წელს ქალაქ ფოთში. დედა ნაილი თელია ცნობილი კარდიოლოგი იყო და არაერთ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. მან კანდიდატის პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მამა – პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი გონერ ხახუბია წლების განმავლობაში სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის მოადგილე იყო. ირაკლიმ მშობლებისაგან ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა შეგონება, რომ თუ შეგიძლია ვინმეს გამოადგე და ამას არ აკეთებ, არ ხარ კარგი ადამიანი. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ მას სიკეთის თესვა წესად ექცა.

მეუღლე ქალბატონი მაკა აფხაზეთიდანაა. მათ ბედნიერებაც ერთად იწვნიეს და ცხოვრების ურთულესი პერიოდიც ერთად „გადალახეს" რამდენიმე წლის წინ, როცა ვაჟი ბექა, ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა.

„ჩემი მიზანია, ვიყო ამომრჩევლთა ისეთი ლობისტი პარლამენტში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და კეთილდღეობას"

„მუნიციპალიტეტის განვითარება არსებული რესურსების სწორად გამოყენებით, მოსახლეობის გვერდში დოგმა, ზრუნვა ვეტერანებზე, ახალგაზრდებზე... მათი ინტერესების დაცვა, ეს არის მთავარი საქმე, რის გაკეთებასაც საქართველოს პარლამენტიდან ვაპირებ"

„მზად ვარ სენაკელებთან ერთად ვიზრუნო თითოეული ოჯახის კეთილდღეობისათვის."

„სახელმწიფოს მომავალი, მისი განვითარება განათლების ხარისხზეა დამოკიდებული".

ჰყავს ვაჟი გიორგი, ორი რძალი (გიორგის და ბექას მეუღლეები) ორივე ნინო და სამი შვილიშვილი.

ირაკლი ხახუბიას პრიორიტეტია ოჯახის, ტრადიციის დაცვა, სიკეთის კეთება, ადამიანების დახმარება, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში წილის დადება, ქველმოქმედება...

მიმართვა ამომრჩევლებს

ჩემთვის დიდი პატივია და უდიდესი პასუხისმგებლობა, ვიყო ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი და ვიზრუნო ხალხის კეთილდღეობისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ მეორედ მეძლევა შესაძლებლობა ქართული ოცნების რიგებში ვიყო, გავაგრძელო ის დიდი საქმე, რომელიც ოცნების გუნდმა 2012 წელს დაიწყო და დღესაც წარმატებულად აგრძელებს.

დღეს ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ქვეყანა წარმატებისა და წინსვლის სრულიად ახალ ეტაპზე გადაყავს. ახალი ფურცელი გადაიშლება სენაკის ცხოვრებაშიც.

ჩვენმა გუნდმა ზუსტად იცის ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და შესაბამისად, ყოველი ინიციატივა, ყველა პროექტი და პროგრამა მიმართული იქნება მოსახლეობის საჭიროებებზე. უპრეცედენტო მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა ფონდ „ქართუს" დაფინანსებით აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რამაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ახალი სიცოცხლე შესძინა.

მოხარული ვარ, რომ სენაკში, რომელსაც საჭადრაკო ცხოვრებისა და მიღწევების, გამოჩენილ მოჭადრაკეთა აღზრდის დიდი ისტორია და ტრადიცია აქვს, ჭადრაკის სახლი გაიხსნა.

სენაკი ტრადიციების და კულტურის მქონე ქალაქია. სენაკელები იმსახურებენ მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას, კარგ საცხოვრებელ გარემოს, ახალ შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის, რომელსაც ჩვენს გუნდთან ერთად შევქმნით.

სენაკში განხორციელდება სოფლებისა და ქალაქის დარჩენილი ნაწილის გაზიფიცირება. ხელს შევუწყობთ სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებას.

გაგრძელდება წყალმომარაგების სამუშაოები. აშენდება, რეაბილიტირდება სკოლები, საბავშვო ბაღები.

გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სწრაფ და ხარისხიან ინტერნეტთან წვდომისთვის. გაგრძელდება გზების და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის კეთილმოწყობა.

მკვეთრად გაფართოვდება მუნიციპალიტეტის განვითარების არეალი. ეს ხედვები რეალობად იქცევა და არ დარჩება ფუჭ დაპირებად...

მზად ვარ სენაკელებთან ერთად ვიზრუნო თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის. ეს ქალაქი ჩემთვის ახლობელია. ჩემი დიდი წინაპრები ერთ-ერთი ულამაზესი სოფლიდან, ეკიდან გახლავთ. ჩემთვის ქვეყანა კი სწორედ წინაპრებიდან იწყება და მერწმუნეთ, გუნდთან ერთად, ჩემს გამოცდილებას, შესაძლებლობებს სენაკის აღმშენებლობაში ჩავდებ, რა თქმა უნდა, ფოთთან და ხობთან ერთად.

ერთად გავაგრძელოთ ქალაქისა და ქვეყნის აღმშენებლობა, წარმატება და განვითარება კი შეუქცევადი გავხადოთ.

აპოლონ გარუჩავა – ფოთის, ხობის და სენაკის დამოუკიდებელ მაჟორიტარად 62

„უკეთესი მომავლისთვის"!

აპოლონ (გიგა) რეზოს ძე გარუჩავა დაიბადა 1981 წლის ოქტომბერში ქ. სენაკში. 1999 წელს დაამთავრა ჟიული შარტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 2004 წელს დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი ბაკალავრის ხარისხით. 2006 წელს დაამთავრა მაგისტრატურა ამავე სპეციალობით და მიიღო მაგისტრის ხარისხი.

აპოლონ გარუჩავა ხელმძღვანელობს კერძო ბიზნესს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საარჩევნო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები:

მუნიციპალიტეტებში სამუშაო ადგილების, სხვადასხვა სახის კოოპერატივების, მცირე საწარმოების შექმნა.

სენაკის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა, ტურიზმის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება. მუნიციპალიტეტების სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მოსახლეობის ჩაბმა სხვადასხვა პროექტებში (სუბსიდირებით, დაბალპროცენტიანი სესხებით, გრანტებით) ეკოლოგიური პრობლემების მოწესრიგების, ქალაქის გამწვანების რეგულარული გეგმის შემუშავება.

ახალგაზრდებისათვის გასართობი ცენტრების, ინტელექტუალური გარემოს შექმნა.

მე, როგორც სენაკელს მაწუხებს ჩემი ქალაქის და მთელი რეგიონის პრობლემები, ამიტომ მთელ ჩემს ენერგიას ამ პრობლემების მოგვარებას მოვახმარ. ჩემი მხარდაჭერა ნიშნავს უკეთეს მომავალს, მეტ ეკონომიკას, მეტ სამუშაო ადგილს, უკეთეს ინფრასტრუქტურას, გასართობ ცენტრებს, ძლიერ სოფელს და სტაბილურ გარემოს.

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

სენაკის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით, საგზაო-სარეაბილიტაციო და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება აქტიურად გრძელდება.

ამ ეტაპზე მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახარბედიოს საეჯიბიოს უბანში ბეტონის გზა ეწყობა.

სამუშაოებს, რომლის ღირებულება 150 463 ლარია, შპს „თვინსი" ახორციელებს.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტურუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან, გელა ჯანაშიასთან და ირაკლი საჯაიასთან ერთად გაეცნო.

საგზაო ინფრასტრუქტურის, გაზიფიცირებისა და გარე განათების სისტემის მოწყობის საკითხები მოსახლეობამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გამართული „ღია შეხვედრების" დროს წამოჭრა.

ამ დროისთვის, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გაზიფიცირების ქსელის როგორც სამშენებლო, ისე გაზიფიცირებული უბნების გამრიცხველიანების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ სრულად გაზიფიცირდება მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები ბათარია, სახარბედიო, საწულეისკირიო, პერტული, სკურია და საგაბესკირიო.

დასრულებულია გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები, რითაც მოსახლეობის წინაშე მდგარი ყველა საბაზისო პრობლემა მოგვარდა.

ამ ეტაპზე სენაკში ასევე დასრულებულია 24 გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

იგეგმება კიდევ 10 გზის კეთილმოწყობა.

წლის ბოლომდე ქალაქ სენაკში, თამარის ქუჩის და ცერცვაძის ჩიხის გარდა, ყველა ქუჩა რეაბილიტირდება. აღნიშნული ქუჩისა და ჩიხის ასფალტირების სამუშაოები კი 2021 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

პრემიერა „პროლოგი - ჩემი წარსულია"

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა პრემიერა „პროლოგი - ჩემი წარსულია" გამართა.

სპექტაკლი დიდი ქართველი მსახიობის, აკაკი ხორავას ტრაგიკულ ცხოვრებასა და ტრიუმფალურ შემოქმედებით გზას ასახავს და მისი დაბადებიდან 125 წლისთავს მიეძღვნა. პრემიერას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ადგილობრივი თვითმმართვლობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

პრემიერა ღია სივრცეში, რეკომენგაციების სრული დაცვით ჩატარდა.

სპექტაკლი, რომლის რეჟისორია ელენე მაცხონაშვილი, ერთდროულად მხატვრული და შემეცნებითი ხასიათის მატარებელია. მსახიობის მიერ, ჩანაწერების, პირადი დღიურების, მოგონებებისა და სხვა დოკუმენტური მასალების დაყრდნობით, შთამბეჭდავად ინაკვთება დიდი ხელოვანის პიროვნული პორტრეტი.

აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს სენაკის კულტურულ ცხოვრებაში ნახევარ საუკუნეზე მეტია გამორჩეული ადგილი უჭირავს.

თეატრის შენობას, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლია, ფონდ „ქართუს" ხელშეწყობით სრულფასოვანი მასშტაბური რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ამ თეატრს არა მარტო სენაკის, არამედ რეგიონისა და მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში შეუძლია გამორჩეული ადგილის დამკვიდრება.

139-ე სეზონზე ფარდა განახლებულ თეატრში გაიხსნება, მანამ კი დასი გეგმავს დიდი ხელოვანის აკაკი ხორავას მშობლიურ სოფელში გამართოს შემოქმედის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი.

მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

სენადენტში მუდამ ღიმილით გელიან

სენადენტში ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თითოეულ აქ მოსულ პაციენტს დახვდეს მეგობრული გარემო და იგრძნოს თავი მყუდროდ კლინიკაში ვიზიტის დროს.

აქ მუდამ ღიმილით გელიან.

ჩვენი სტუმარია სტომატოლოგიური კლინიკა „სენადენტის" ხელმძღვანელი და დამფუძნებელი, საქართველოს ბავშვთა სტომატოლოგთა ასოციაციის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში, საქართველოს პაროდონტოლოგთა ასოციაციის სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენელი ქალბატონი ანასტასია ხუფენია

რომელი ასაკიდან უნდა დავიწყოთ სტომატოლოგთან სიარული?როდის უნდა მივმართოთ ბავშვთა სტომატოლოგს? როგორ დავიყოლიოთ ბავშვი სტომატოლოგთან ვიზიტზე? როდის ამოდის სარძევე კბილები? როგორი უნდა იყოს კბილის პასტა ბავშვებისთვის? როგორ მოვუაროთ ბავშვის სარძევე კბილებს? კლინიკის დაარსების დღიდან ჩატარებულ არაერთ შემეცნებით და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე და სხვა მრავალ საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ქალბატონი ანასტასია.

უძველესი დროიდან ითვლებოდა, რომ ადამიანი ჯანმრთელია მანამ, სანამ ჯანმრთელი აქვს კბილები. კბილებისა და ღრძილების ჯანმრთელობა უდავოდ დაკავშირებულია პირის ღრუს ჰიგიენასთან. პირის ღრუს ჰიგიენაზე ზრუნვა უნდა დაიწყოს ადრეული ასაკიდან. რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ბავშვის მომავალი ჯანმრთელობა.

ჰიგიენის დაუცველობით, ბავშვთა მოუვლელ პირის ღრუში კბილის კარიესი, ლორწოვანი გარსის ანთება და სხვა დაავადებები ისეთივე სიხშირით ვითარდება როგორც მოზრდილებში.

თვალისმომჭრელი ღიმილი ყველას უხდება. ის იწვევს ხალხში სიმპათიას, დადებითად განაწყობს თანამოსაუბრეს. 5 წელია საოჯახო სტომატოლოგიური კლინიკა „სენადენტი" ზრუნავს ჩვენი და ჩვენი შვილების კბილების სიჯანსაღეზე.

კლინიკის მთავარი მიზანია: ხარისხიანი და უსაფრთხო მომსახურება, პაციენტის კომფორტი. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით, რაც მედპერსონალს ეხმარება სრულყოფილ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის გეგმის შემუშავებაში.

უმტკივნეულო მკურნალობისთვის იყენებენ ბოლო თაობის ანესთეტიკებს, რომელსაც არჩევენ პაციენტის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის გათვალისწინებით.

მოქმედებს მკაცრი კონტროლი სტერილიზაციაზე. სადეზინფექციო-ჰიგიენური ზედამხედველობა განსაკუთრებულ რანგშია აყვანილი. მაქსიმალურად გამოიყენება ერთჯერადი მოხმარების სტომატოლოგიური მასალა.

პირველი სარძევე კბილის ამოჭრისთანავე უნდა მიმართოთ სტომატოლოგს, რათა ექიმმა მოგცეთ საჭირო რეკომენდაციები.

სარძევე კბილები არ საჭიროებს მკურნალობას, ამოსაღებია. უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი: მაქსიმალურად შეზღუდეთ ტკბილეული; ღამე პატარებს არ მისცეთ ტკბილი ჩაი, მაწონი-რათა თავიდან ავიცილოთ კარიესი;

დაეხმარეთ პატარებს კბილის გახეხვაში, დღეში ორჯერ-დილით ჭამის წინ, საღამოს ძილის წინ.

კბილის პასტა უნდა იყოს დამზადებული ნატურალური კომპონენტებისაგან. უნდა იყოს პროფილაქტიკური და არა სამკურნალო, ქონდეს სასიამვნო სუნი, გემო. 5 წლამდე ბავშვებისათვის არ უნდა შეიცავდეს ფტორს.

სარძევე კბილები? როგორ უნდა იყოს კბილის პასტა ბავშვებისთვის? როგორ მოვუაროთ ბავშვის სარძევე კბილებს? კლინიკის დაარსების დღიდან ჩატარებულ არაერთ შემეცნებით და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე და სხვა მრავალ საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ქალბატონი ანასტასია.

კბილებზე ზრუნვა უნდა დავიწყოთ ადრეული ასაკიდან. სარძევე კბილების ჩანასახების ჩამოყალიბება ხდება ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს, ამიტომ, თუ გინდათ, რომ თქვენს პატარას ჯანმრთელი კბილები ჰქონდეს, პირველ რიგში დედას უნდა ქონდეს მოწესრიგებული კბილები და პირის ღრუ მთლიანად. ბავშვის მიყვანა სტომატოლოგთან არ გაგიჭირდებათ, თუ გაითვალისწინებთ შემდეგ რჩევებს: როცა მშობელი ჩაწერილი ხართ ვიზიტზე სტომატოლოგთან, თან წაიყვანეთ პატარა, რადგან როცა მას დასჭირდება სტომატოლოგის დახმარება-იქ არ იქნება მისთვის უცხო გარემო; სწორად შეარჩიეთ კლინიკა, სადაც თქვენ პატარას მოემსახურება სერთიფიცირებული ბავშვთა სტომატოლოგი. ექიმს უნდა ქონდეს მოთმინების უნარი, უნდა უყვარდეს პატარები, უნდა მოერგოს ბავშვთა ფსიქოლოგიას; პირველი ვიზიტს უნდა ქონდეს გაცნობითი ხასიათი; მიიყვანეთ თქვენი პატარა ყოველ 6 თვეში პროფილაქტიკურ გამოკვლევებზე, რათა თავიდან ავიცილოთ მტკივნეული მანიპულაციები; პატარა ასაკიდან შეაჩვიეთ კბილების მოვლას, აუხსენით, რომ ჯანმრთელობა იწყება ჯანმრთელი კბილებით.

მიეცით საკმარისი რაოდენობის წყალი და ხშირად გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე.

ბავშვს მიეცით რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი.

შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ჩემი ხანგრძლივი შრომის შედეგია. ჩემი კლინიკის გუნდი, ჩემი ხელმძღვანელობით, უკვე 5 წელია, სამეგრელოს 5 რაიონში

(სენაკი, ხობი, ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი) ახორციელებს ვიზიტებს სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, შემეცნებით-პროფილაქტიკური ღონისძიებით ვაწარმოებთ ბავშვების პირის ღრუს დათვალიერებასა და აღრიცხვას და ვადგენთ ყოველწლიურად სტატისტიკას. უნდა ითქვას, რომ პროგრამა მზარდი წარმატებით ხორციელდება ეს წლებია. ყოველწლიურად უფრო მეტი პაციენტი ინტერესდება, ეხმაურება პროფილაქტიკურ და პრევენციულ ღონისძიებებს. იმედი გვაქვს ახლო მომავალში პირველ ფლანგზე იქნება პროფილაქტიკური ღონისძიებები და უფრო ნაკლებ პაციენტს დასჭირდება უფრო სერიოზული ჩარევები. ასევე მე გახლავართ, სენაკში, ღიმილის დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიების ორგანიზატორი. ესეც ერთგვარი სამოტივაციო ღონისძიებაა ბავშვებისათვის, სადაც მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ბაღი და სკოლა. იმართება კონკურსები, თამაშები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. ეს ძალიან მოკლედ, ჩემი საქმიანობის შესახებ. შარშან, ერთი წლის წინ, ჩემს კლინიკაში ჩამოვაყალიბე კლუბი ბავშვებისათვის, სახელწოდებით - „senadenti kids club". სტომატოლოგიური პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ადრეული ასაკიდან არ ხდება იმ უნარ-ჩვევებს ჩამოყალიბება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. სწორედ ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ჩვენი კლუბი. სენადენტი kids club-ის პროფილაქტიკური პროგრამა: „ჯანსაღი კბილები მთელი სიცოცხლის მანძილზე", მოიცავს ყველა იმ საჭირო ღონისძიებას, რომელიც დაეხმარება ბავშვებსა და მათ მშობლებს, გააკონტროლონ: კარიესის განვითარება, თანკბილვის ანომალიები, სრულფასოვანი პროფილაქტიკა, სრულფასოვანი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, მავნე ჩვევების ზემოქმედება ორგანიზმზე. 2019-2020 წლის ჯგუფში დარეგისტრირებული არის 35 ბავშვი. კლუბის პროგრამა ხორციელდებოდა სამ ასაკობრივ ჯგუფში: 3-6, 7-10, 10-14 წლის ბავშვებთან. 1 წლიანი პროგრამა შედგებოდა 4 გაკვეთილისაგან, თითო გაკვეთილი თითო სეზონზე. თითოეული გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო თემებითა და სახალისო თამაშებით, რითაც შევეცადეთ ბავშვებისათვის უფრო მარტივი და ადვილად ასათვისებელი გაგვეხადა გაკვეთილები. 29 აგვისტოს, შედგა გამოსაშვები საღამო „სენადენტი kids club-i 2020". ეს იყო ჩვენი ერთწლიანი შრომის შეჯამება და ბავშვების დაჯილდოვება.

ძვირფასო მშობლებო, თუ თქვენს შვილებს აქვთ კბილებთან დაკავშირებული პრობლემები, მომართეთ „სენადენტს". აქ თქვენ მოგემსახურებიან პროფესიონალები: ქირურგი სტომატოლოგი ვაჟა გლუნჩაძე, ბავშვთა და მოზრდილთა თერაპევტი სტომატოლოგი გულნარა ბუბუტეიშვილი, სტომატოლოგი-ორთოდონტი თამარ ბოჭორიშვილი, ორთოპედ სტომატოლოგი ირაკლი კეზუა, ინპლანტოლოგი დიეგო ზარანდია, ფსიქოლოგი მაკა კინწურაშვილი, ექთანი ლელა პაპასქირი. კლინიკაში არის სპეციალური კაბინეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. მედპერსონალს აქვს შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილება. ამასთან თქვენ შეგიძლიათ იმ შემეცნებით და გასართობ პროგრამაში მიიღოთ მონაწილეობა, რომლებსაც კლინიკა გთავაზობთ. ერთობლივად მოვახდინოთ პოპულარიზაცია და გავრცელება მოსახლეობაში, უფრო მეტი ადამიანისთვის გახდეს ცნობილი ჩვენი კლუბის შესახებ, უფრო მეტი ბავშვი გახდეს მოწესრიგებული და ადრეული ასაკიდან მიეჩვიონ დამოუკიდებელ, სრულფასოვან პირის ღრუს ჰიგიენას. უფრო მეტს ადგილზე გაიგებთ.

ეწვიეთ „სენადენტს", კმაყოფილი დარჩებით.

მაია გერგაია

„დიდკაცობას კაი კაცობა ჯობია, კაი კაცობას კი მამულიშვილობა"

დიდი ქართველის გიორგი სააკაძის ეს გამონათქვამი ქაღალდზე დიდი ასოებით დაწერილი მაქვს და ვეკითხები ყველა შემხვედრს.

რომელი ჯობია: დიდკაცობა? კაი კაცობა? თუ მამულიშვილობა.

უმრავლესობის პასუხი იყო – დიდკაცობა. ნუთუ?

მართლა დიდკაცობა ჯობია? ვეკითხები ჩენს თავს. თანაც, ზოგიერთი განმარტებისათვის ამატებს შემდეგ ტერმინებს:

1. თუ დიდი კაცი ხარ – ყველაფერი გაქვს, ყველაფერი შეგიძლია.

2. კაი კაცობით დღევანდელ პირობებში ფონს ვერ გახვალ (თითო-ოროლამ თუ მიპასუხა ასე.

3. მამულიშვილობა? ეს ხომ მაღალფარდოვანი, სახელმწიფო რანგში აყვანილი სიტყვაა, ერთ-ერთი მოპასუხე კი ყველაზე ჭკვიანი გამოდგა და მპასუხობს:

თუ ვინმე არა მარტო მეკითხება, არამედ ამ სიტყვების შესაფერის მდგომარეობასაც მთავაზობს, მაშინ ვიტყოდი:

თუ ჩემს პასუხს დღეის მდგომარეობით განსჯიან „დიდკაცობას" ამჯობინებენ, თანაც დაამატებენ კმაყოფილი კაცის იერით. ძმაო, სანამ ხარ იქნები დიდიცა და ყველაფრის მქონეც.

მაშ, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა დიდკაცობა ამჯობინა.

ნუთუ? აბა დააკვირდით, კაი კაცობით ვერც ოჯახს გამოკვებავ და ვერც სხვები დაგაფასებენ. ხოლო მამულიშვილობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

აბა დააკვირდით ცხოვრებას, რაიონში მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელმაც მიაღწია დიდკაცობას ყველანი უზრუნველყოფილნი არიან. მიდი და გაარჩიე შენ იცი მეტი თუ იმ დიდკაცმა? ამიტომ სანამ ხარ იქნები დიდიცა და ყველაფრის მქონეც.

აბა დააკვირდით რაიონში (მხედველობაში მაქვს ჩვენი რაიონი), მხოლოდ თითო- ოროლა თუ არის მამულიშვილი, უფრო სწორად, ჩემი აზრით მხოლოდ ერთია, რომლის დასახელებაც არ არის საჭირო, ისედაც მიხვდება მკითხველი. მის მიერ რუდუნებით ნაგები გზები, ხიდები, ეკლესია-მონასტრები მთელ რეგიონს ამშვენებს.

და ასეთი დასკვნა გავაკეთე სათაურად გამოყენებული სტროფის დასამთავრებლად. მოდი დიდკაცობასა და მამულიშვილობას შორის ხიდად კაი კაცობა გამოვიყენოთ და ჩვენი წერილის სათაურად გამოყენებულ სტროფს დავამთავრებდი სიტყვა მამულიშვილით.

ისედაც, ჩემი მოღვაწეობის სტილი ასეთი იყო, დიდკაცობასა და ჩემს პასუხს შორის ხიდი იქნებოდა: „კაი კაცობა" და ბოლოს სრული პასუხი:

„კაი კაცობას – მამულიშვილობა ჯობია.

ეს ის ჯადოსნური სიტყვაა, რომლითაც მთელი ცხოვრება მიმოღვაწია.

მერი გვასალია

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება.

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

საარჩევნო უბანზე მისვლისას:

გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე

გაიკეთეთ მარკირება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით. ამავე კალმისტრით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის / ბიულეტენების შევსებისას

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი / ბიულეტენები

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში / ბიულეტენებში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი / ბიულეტენები მოათავსეთ მასში, სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დატოვეთ სპეციალურ კონტეინერში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ გთხოვთ დატოვოთ კენჭისყრის შენობა.

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.

კორონავირუსის შემთხვევები სენაკში

როგორც ცნობილია ეპიდემიოლოგიური სიტუაცია შეიცვალა როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში.

კორონავირუსი დაფიქსირდა სენაკის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ანა ჭიჭაღუა.

სენაკის მუნიციპალიტეტში 27 ოქტომბრის მდგომარეობით გვაქვს COVID 19-ის 97 დადებითი შემთხვევა. აქტიურად მიმდინარე 56. გამოჯანმრთელებული 38, გარდაცვლილი-3. თვითიზოლაციაში იმყოფება 129 პირი.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ტარდება გეგმიური პისიარ ტესტირება: პირველადი ჯანდაცვის თანამშრომლებზე, შსს მუშაკებზე და შიდა სამარშრუტო ტაქსის მძღოლებზე.

უნდა დავემორჩილოთ დაწესებულ რეგულაციებს. დავიცვათ დისტანცია, ვატაროთ პირბადე და დავიბანოთ ხელები ხშირად.

მოამზადა

მ. მიქაბერიძემ

საკოორდინაციო საბჭოს რეგულაციები

პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ბიზნესსა და მოქალაქეებს მოუწოდებს, მაქსიმალურად დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროსა და სპეციალისტების რეკომენდაციები, რათა დამატებითი რეგულაციების დაწესება საჭირო არ გახდეს.

მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ "ვირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდა გლობალურად არსებული ტენდენციაა და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა უმნიშვნელოვანესია, პროცესი მართვადი იყოს, რათა მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობას, ისე - ქვეყნის ეკონომიკას".

საბჭოს სხდომაზე ასევე ითქვა, რომ უნდა გამკაცრდეს ჯანდაცვის სამინისტროსა და სპეციალისტების რეკომენდაციების აღსრულების კონტროლი.

საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, თავი აარიდონ ხალხმრავალ შეკრებებს, მაქსიმალურად დაიცვან სოციალური დისტანცია. დახურულ სივრცეებში, ისევე, როგორც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ატარონ პირბადე.

ჟორა სორდია

გარდაიცვალა არაერთი მონოგრაფიის და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, პროფესორი ჟორა სორდია.

დაიბადა 1942 წელს ჩხოროწყუს რაიონში, 1964 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. სენაკში.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სამეცნიერო მუშაობას მიჰყო ხელი. სხვადსხვა წლებში მუშაობდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კათედრის გამგედ, პრორექტორად, ქართული ენის მეთოდიკის ლექტორად. განსაკუთრებით ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის, მოურიდებლად მიუთითებდა სარეკლამო ფირნიშებსა და აბრებზე აღმოჩენილ უზუსტობებზე, ორთოგრაფიულ შეცდომებზე.

აქტიურად თანამშრომლობდა ისეთ გამომცემლობებთან, როგორიცაა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე", ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", გაზეთები „ახალი თაობა", „საქართველოს „რესპუბლიკა", რეგიონალურ ჟურნალ-გაზეთებთან, მათ შორის „კოლხეთთან"

ჟორა სორდიამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1981 წელს. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს პროფესორებმა ა. კიზირიამ, შ. კეკელიამ, ნ. ლემონჯავამ, ჟ. ყორღანიშვილმა.

მშობლიურ ენაზე შეყვარებული კაცისთვის დედაენის და სამშობლოს ცნება განუყოფელი იყო. სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიური იყო: წერდა, თხზავდა, ასწორებდა, სტუდენტებს უნერგავდა ქართული ენის სიყვარულს.

78 წლის ასაკში მოულოდნელად აღესრულა. ტკივილი დაუტოვა შვილს, ახლობლებს, მეგობრებს.

ნათელი მის სულს!

მეგობრები

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ გაზეთ „კოლხეთის" აქტიური მკითხველის და რესპონდენტის პროფესორ

ჟორა სორდიას

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ხოჭოლავა

გარდაიცვალა ჭეშმარიტი სენაკელი, გულისხმიერი პიროვნება, მეგობრების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, კარგი ოჯახის მამა და ბაბუა თენგიზ ნიკოლოზის ძე ხოჭოლავა.

დაიბადა 1955 წელს. დაამთავრა ხობის რაიონის სოფელ შუა ქვალონის 8 წლიანი სკოლა. 1972 წელს თბილისის №75 საშუალო სკოლა.

1973 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1974 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, დაბრუნების შემდეგ, 1980 წელს, დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. სწავლის პერიოდიდან იწყება მისი შრომითი საქმიანობა, იგი მუშაობდა თბილისის ელექტრომოწყობილობების ქარხანაში ზეინკლად, ელექტროშემდუღებელ ქარხანაში ეკონომისტად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს ავტომაღაზიაში ბუღალტრად, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში ეკონომისტად.

1980 წლიდან იგი მუშაობას იწყებს სენაკის ქალაქვაჭრობაში საქონელმცოდნედ.

1987 წელს დაინიშნა დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1988 წელს – დირექტორად.

1997 წელს ამ ორგანიზაციის ბაზაზე დააფუძნა სააქციო საზოგადოება „ეგრის -კომერცია- 93", რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში პარალელურად ეწეოდა კერძო კომერციულ საქმიანობას.

წავიდა ამ ქვეყნიდან გულისხმიერი, შეუდარებელი გარეგნობის და კეთილი გულის პიროვნება.

ნათელი მის იმქვეყნიურ გზას!

„კოლხეთელები"

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი ჯომპიუტერზე აიწყო, დაჯაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499